MES 9 22 0000612731

08/06/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.05.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoo m-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **მაკა კაჭარავა** - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს"საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში";

9. **თეა მჭედლური** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	**ლ ა ლ ი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	საკითხი
1.	**დავით ბოსტოღანაშვილი**	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	**I**
2.	**შალვ ამაჭავარიანი**		ციფრული მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
3.	**ვასილ კიკუტაძე**		ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	**I**
4.	**დავით სიხარულიძე**		სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	**I**
5.	**მარიამ დარბაიძე**		რექტორის მრჩეველი	**I I**
6.	**ნათია ქაჯაია**		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**I I**

7.	**ნონა გელიტაშვილი**	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**I I**
8.	**ნიკა დუდაშვილი**		იურიდიული სამსახურის უფროსი	**I I**
9.	**თეა ცაავა**		ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი	**I I**
10.	**ნანა ბიჩენოვი**		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	**I I**
11.	**მარიკა შავლაყაძე**		კვლევების და განვითარების ცენტრის უფროსი	**I I**
12.	**მაია მელაძე**		კვლევების და განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი	**I I**
13.	**თამარ გარდაფხაძე**	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუ უნი	რექტორი	**I II**
14.	**ნათია გოგოლაური**		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I II**
15.	**ქეთევან ჯიჯეიშვილი**		საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**I II**
16.	**ქეთევან კვიცარიძე**		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	**I II**
17.	**თეა კორძაძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
18.	**ნათია ღაჭავა**		საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	**IV**
19.	**მირანდა მნაცაკანიანი**		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
20.	**აკაკი ძნელაძე**		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული მეცნიერება" ხელმძღვანელი	**IV**
21.	**დავით მახვილაძე**		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**V, VI**
22.	**ხათუნა მხეიძე**		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	**V, VI**
			სამართლისა და საერთაშორისოურთიერთობების	**V, VI**

23.	**ირაკლი გაბისონია**		ფაკულტეტის დეკანი	
24.	**მარიამ ჯიქია**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართლისა და საერთაშორისოურ თიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახ ურის ხელმძღვანელი	**V, VI**
25.	**ციალა გლოველი**		„სამართლის“ბაკალავრიატის საგან მანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V, VI**
26.	**ქეთევან ჯინჭარა ძე**		„სამართლის“ ბაკალავრიატის საგა ნმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V, VI**
27.	**ვახტანგ ზაალიშვ ილი**		„სამართლის“მაგისტრატურის საგა ნმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V, VI**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შეს ახებ**	**საკითხი**
1	**მერაბ ხოხობაია**	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	**ვასილ კიკუტაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
3	**თ ო რ ნ ი კ ე ხოშტარია**	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
4	**ქეთევან ქავთარაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
5	**ილია ბოცვაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
6	**ნინო ტალიკაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
7	**თამთა ცხოვრებაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
8	**ივანნა მაჩიტიძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
9	**მაქსიმ იავიჩი**	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
10	**ნინო მესხიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	**V, VI**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“და„სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· დიახ
ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რათა მე-4 საკითხი შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა, დღის წესრიგის მიხედვით განსაზღვრულიყო პირველ საკითხად.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1. პირველი საკითხი: შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 13 ოქტომბრის გ ადაწყვეტილება №985747
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პრ ოგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინ ისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შატილის ქ. №4; ქ.თბილისი , 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამა ზე სწავლა-სწავლების უფლება მოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა: ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს საგანმანათლებლო
პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის, წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 13 ოქტომბერი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღებისადა განხილვის მიზნით ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა გადასცა პროგრამის განვითარების კომიტეტს. ამავე, ანგარიშის მიხედვით პროცესში მონაწილეობა მიიღო აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით გაიმართა შეხვედრები, სადაც იმსჯელეს რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობებზე, პროგრამაში გათვალისწინების ვადებზე და შესაბამის პროცედურებზე. დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულდა. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი ცვლილებები,რომელიც დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას;
2.რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში დაკორექტირდეს კურსებზედაშვების წინაპირობები;
3. რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა;
4. რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში სავალდებულო კურსების
ნაწილში გაითვალისწინოს პროგრამული პაკეტები, სხვადასხვა სპეციალიზირებული სოფტები (განსაკუთრებით ERP სისტემები) რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციის მართვაში, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებას;
5. რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს კურსებით ოპერაციათა მართვისა და ციფრული
უსაფრთხოების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომ ხომ არ დაემატა პროგრამას აკადემიური პერსონალი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას დაემატა აკადემიური პერსონალი, თუმცა არ ყოფილა აფელირების შემთხვევები. თუმცა დაწესებულება ამ კუთხით აქტიურად განაგრძობს მუშაობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:15
დასრულებისდრო: 14:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

2.მეორე საკითხი : შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2.12.2019 №43
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, ბერიგაბრიელ სალოსის გამზირი 31, 0144
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ირინა გველესიანმა
საფუძველი - ოჯახის წევრების შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 14 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბაკალავრო ნაშრომების, პრაქტიკის დღიურებისა და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა, ასევე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში
ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. სასწავლო უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი მოდ ული. აღნიშნული ტიპის მოდულის არსებობა ხელსშეუწყობს როგორც პროგრამის სტუდენტებ ის ენობრივი
კომპეტენციების განვითარებას, ისე ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი –საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთა ნ პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფას ების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამის ობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტი ს მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. რეკომენდებულია ინგლისურენოვანი მოდულში შემავალ სასწავლო კურსებს ერთ-ერთ წი ნაპირობად განესაზღვროთ ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე, რაც უნდა დაფიქსირდე ს უშუალოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში;

1. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ბრენდინგი, ციფრული მა რკეტინგი) სავალდებულო ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით ან სასწავლო რ იდერების მომზადებით;

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ/ ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს და მატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩარ თულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ად გილობრივ კონფერენციებში;

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებე ლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სტიმ ულირება, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის კუთხით;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დეტალურად ესაუბრა ინგლისურენოვანი კურსების განხორციელების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სი ლაბუსის წინაპირობად ,,მენეჯმენტის საფუძვლებია“ მითითებული, ხოლო ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები და დააზუსტა თუ როგორ ხდება საგნის შესწავლა და დაძლევა თუ სტუდენტმა შესაბამისი დონის ინგლისური ენა არ იცის. ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ,,ლიდერობისა და გუნდის მართვის“ სილაბ უსი, თავისი არსით, ლიდერობის თეორიასა და პრაქტიკას უფრო გულისხმობს, ვიდრე ლიდერობასა და გუნდის მართვას.
საბჭოს წევრმა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტი, და დააზუსტა, თუ რამდენი პროგრამაა

ფაკულტეტზე და ხდება თუ არა აღნიშნული ბიუჯეტიდან მათი დაფინანსება. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა პროგრამის მდგრადობის საკითხი. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ როგორ ხდება ხარისხის უწყვეტობისა და განვითარების შეფასება და უზრუნველყოფა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ როგორ ხორციელდება საწარმოო პრაქტიკა და მისი შეფასება.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და დასკვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს და გაიზიაროს ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები.
ინგლისურენოვან მოდულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს სამი კონცენტრაცია: მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების, რომლებშიც წარმოდგენილია ერთი ან ორი საგანი. აღნიშნული მოდულის საშუალებით, ასევე, შესაძლებელია ინტერნაციონალიზაციის საკითხებში ჩართვა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.
რაც შეეხება ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტს“, სამწუხაროდ ამ კუთხით არ არსებობს საბაკალავრო დონის სრულყოფილი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. შესაბამისად, სილაბუსი ც ძირითადად ორ სახელმძღვანელოზეა აწყობილი და სტუდენტებისთვის, ასევე, ხელმისაწვდომია რიდერიც. სახელმძღვანელოები მოცემულია ინგლისურ ენაზე, რაც სტუდენტებისთვის დაძლევადია ვინაიდან ისინი მოცემულ სასწავლო კურსს პირველ სემესტრში კი არ სწავლობენ, არამედ იღრმავებენ ინგლისური ენის ცოდნის დონეს.
მნიშვნელოვანია ასევე, ,,ლიდერობისა და გუნდის მართვის“ სასწავლო კურსი, კერძოდ აღნიშნული სასწავლო კურსი ასევე კონცენტრაციის ნაწილია. ექსპერტთა მხრიდან არ გაიცა შენ იშვნა აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ასევე, ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ გათვალისწინებული არის როგორც პროგრამის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტიც. გამომდინარე იქიდან, რომ თავად უნივერსიტეტი და ფაკულტეტი არის პატარა წარმოადგინეს არა პროგრამის, არამედ ფაკულტეტის ბიუჯეტი. ძირითადი ხარჯების დაფარვა ხორციელდება ყველა პროგრამის ბიუჯეტიდან გამომდინარე. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობა სრულიად უზრუნველყოფილია.
რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას, მისი შეფასება ხდება მენტორისა და ხელმძღვანელის მიერ. საწარმოო პრაქტიკის ადგილზე მისვლისას სტუდენტს ხვდება მენტორი, რომელიც მთელი ამპ რაქტიკის განმავლობაში უწევს სტუდენტს დახმარებასა და რეკომენდაციებს. რაც შეეხება ხელმძღვანელს, იგი ვიზიტით მიდის ხოლმე სტუდენტებთან ერთად და მათ მიერ ერთობლივად ხორციელდება პრაქტიკის დღიურების წარმოება და პრაქტიკის ანგარიშის წარმოდგენა, რაც ასევე ერთობლივად აისახება შეფასების კომპონენტებში. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკის ანგარიში, რომლებსაც სტუდენტები წარადგენენ პრაქტიკის ბოლოს, საბოლოოდ კომისია აფასებს.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ანგარიშები და დღიურები, შეფასება სტანდარტულად ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. რაც ყველაზე მთავარია, პრაქტიკის დაწყებამდე სტუდენტს მიწოდებული აქვს ყველა საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია და ის თუ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.
რაც შეეხება ,,ლიდერობასა და გუნდის მართვას“, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში გუნდის მართვის საკითხები, შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი, განხილული 13 თემიდან, მხოლოდ 5 არის გუნდის მართვის, თუმცა ვინაიდან სასწავლო კურსი არის არჩევითი, საკითი განისაზღვრა რჩევის სახით.
რაც შეეხება შეფასების და ხარისხის უწყვეტობას, აღნიშნული ეხებოდა შეფასების ჯგუფის მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებებს და შემდგომ ამაზე რეაგირებებს. სამუშაო ჯგუფი აქტიურად

მუშაობდა პროგრამის განვითარებაზე, ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათ გამოსწორებაზე, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ცალკე არ იყო მომზადებული ანგარიშები.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რამდენად მიზანშეწონილად თვლიანექსპერტები, რომ მენტორი აკეთებდეს საწარმოო პრაქტიკის განმსაზღვრელ შეფასებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმ სწავლის შედეგს, რომლის მიღწევასაც ცდილობს სილაბუსი– საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან საწარმოო პრაქტიკაზე წასვლისას, სტუდენტს უკვე თან აქვს მენტორთან შეთანხმებული სასწავლო გეგმა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: ერთი მხრივ, თუ ვისთანაა შეთანხმებული პრაქტიკის გავლა უკეთ გააკონტროლებს პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, მენტორი არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შეიძლება გაჩნდეს კითხვა თუ რატომ იღებს იგი მონაწილეობას განმსაზღვრელ შეფასებაში. საკითხი ნამდვილად წარმოადგენს მსჯელობის საგანს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:49
დასრულებისდრო: 14:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომა დატოვეს ნათია ზედგენიძემ და ერეკლე ასტახიშვილმა

3. მესამე საკითხი : შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№130, 13.06.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლებისენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0180, გიორგი ჭყონდიდელის №56
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუ უნის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახ

ებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის არა გეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კ ლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის განსახილველად გადაეცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და ს ილაბუსები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, კ ურიკულუმის რუკა, პერსონალის პირადი საქმეები და ინფორმაცია უსდ-ს მატერიალურ-ტექნი კური ბაზის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის შუამდგომლობით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია ინსტიტუციიდან.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება განხორციელდა პირვ ელ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს ცხად ად, იყოს გაზომვადი და აქტიური, აწმყო დროში ფორმირებული ზმნების გამოყენებით;

1. მიზანშეწონილია პრაქტიკის სილაბუსი პასუხობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფ ეროში დასაქმების შესაძლებლობებს, რათა მიღწეულ იქნას პროგრამითა და პრაქტიკის სი ლაბუსით განსაზღვრული მიზნები დაშედეგები.

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტ ები მეტად მრავალფეროვანი გახდეს, რათა ეფექტიანად შეფასდეს სტუდენტების მიერ გა ვლილი მასალის ათვისება და სწავლის შედეგების მიღწევა.

უსდს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუციამ გაიზია რა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება 2.3 კომპონენტის სასწავლო კურსის საკვანძო საკითხებთან დ აკავშირებით და აღსანიშნავია, რომ გარკვეული ქმედებები უკვე განხორციელებულია რეკომენ დაციების შესაბამისად. ინსტიტუციამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გ აცემული რეკომენდაციების შედეგად კორექტირებული პრაქტიკის სილაბუსი, რომელიც ორგა ნიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და პასუხობს საერთაშორისო ურთიე რთობების სფეროს შესაბამისი უნარების გამომუშავებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

რაც შეეხება 2.6 კომპონენტის სტუდენტთა შეფასების ნაწილში გაცემულ რეკომენდაციას, მიუხე დავად ინსტიტუციის არგუმენტებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო საგნების შეფასება უმეტესად სტანდარტიზებულია და ეფუძნება წერით, ზეპირი გამოკითხვას და პრეზენტაციას. მიზანშეწონილი იქნება, თუკი შეფასების კომპონენტები მეტად მრავალფეროვანი გახდება, რათ ა ეფექტიანად შეფასდეს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა, თუ რომელ ობიექტებსა თუ ორგანიზაციებში ხორციელდება პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში საუბარია 11 აფილირებუ ლ პერსონალზე და დააზუსტა ეს პერსონალი დასაქმებულია მხოლოდ ამ პროგრამაზე თუ სხვა პროგრამებსაც ეკუთვნის. ამასთან, დასკვნაში მოცემულია რომ აკადემიური პერსონალი წარმოადგენს ძირითადად მომიჯნავე სფეროს.

ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ასევე პროგრამაში გამრავალფეროვნდეს სწავლა-სწავლების მეთოდები. არის რიგი საგნები, რომლებშიც საერთოდ არ იყო გამოყენებული case study მეთოდი, რაც პროგრამის შედეგებზე გასასვლელად არის აუცილებელი. გარდა ამისა, სილაბუსებში მითითებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც

განკუთვნილია სამაგისტრო საფეხურისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია ლიტერატურის განახლება.
საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა ,,მსოფლოს უახლესი ისტორიის“ სასწავლო კურსი და დაამატა, რომ უახლესი ისტორიის სწავლება 1988 წელს გამოშვებული სახელმძღვანელოთი არ არის რელევანტური.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რუკაზე ასახულია, რომ პრაქტიკის სილაბუსი გადის მხოლოდ მე-7 შედეგზე, შესაბამისად იმ პირობებში რომ პროგრამა არ მოიაზრებს საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიიკა ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, საკმარისია თუ არა რომ ის მხოლოდ ერთ სწავლის შედეგზე გავიდეს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად იფარება ეკონომიკის საკითხები პროგრამის ფარგლებში.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა. შესაბამისად, მოხდა ზმნების ჩასწორება, რაც ასევე დადასტურდა ექსპერტთა მიერ.
რაც შეხება დასაქმებას, „დაწესებულებას აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა ახალგაზრდულ ასოციაციასთან და კვლევით ცენტრთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას.
შეფასებასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ზეპირი გამოკითხვა ს ილაბუსში რამდენიმე ნაწილად იშლება და მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, როგორიც არის დებატები, case study და ა.შ.გარდა ამისა, დაწესებულება იყენებს როლურ სიტუაციურ თამაშებსა და მოდელირებას. დაწესებულება თვლის, რომ აღნიშნული შეფასების მეთოდები საბაკალავრო საფეხურზე სრულიად მისაღებია მიზნის მისაღწევად.
რაც შეეხება აკადემიური პერსონალს, პროგრამას ჰყავს 11 აფილირებული პროფესორი, რომლებსაც ბოლო დროს დაემატა 5 და ჯამში პროგრამას ჰყავს 16 აფილირებული პროფესორი. აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ისტორიის სწავლება არ არის სავალდებულო. შესაბამისად, მისი სწავლება შეიძლება შედარებით მოძველებული სახელმძღვანელოთი, ვინაიდან იქ მოცემულია ფუნდამენტური ცნებები და საკი თხები.
გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე ისწავლება საერთაშორისო ეკონომიკა, რასაც პროგრამა მეტი დოზით არ საჭიროებს და მისი გამრავალფეროვნება, მოცემულ პროგრამაზე ეკონომიკის სწავლებით მხოლოდ ამ კუთხით არის მიზანშეწონილი.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს 11 აფილირებული პერსონალის პირადი საქმე და მათი უმრავლესობა ისტორიის ან სოციალური მეცნიერებების დარგს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას რომ შესაბამისი სასწავლო კურსების მიხედვით, აკადემიური კ ვალიფიკაცია შეესაბამება კურსის მოთხოვნებს.
რაც შეეხება პრაქტიკის სილაბუსს, სწავლის შედეგების აღწერილობა შესაბამისობაში მოვიდა პრაქტიკის სილაბუსთან, რომელიც იყო წარმოდგენილი პირველ ეტაპზე და არ პასუხობდა საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებს. გამომდინარე აქედან, გადამუშავებული სილაბუსისა და ფორმირებული სწავლის შედეგების შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს კურიკულუმის რუკა და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან და მიზნებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისტორიის სილაბუსში არც ერთი სახელმძღვანელო არ არის 1988 წლის. შესაბამისად, დოკუმენტებში შესაძლოა რაღაც შეცდომას ჰქონდეს ადგილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:25
დასრულებისდრო: 15:44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა რჩევა:

- სასურველია, სასწავლო კურსის "მსოფლიო უახლესი ისტორიის " სილაბუსში გასწორდეს ხარვეზი სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში .

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№318782, 02/04/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პ როგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების /საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნვე ლყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარმეფის ქ. #59, ქუთაისი,4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამა ზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლე სი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექს პერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტ ურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგ ენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 2 აპრილს უმაღლესი საგანმანათ ლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ- აკაკი წერეთლის სახელ მწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამას "კომპიუტერული მეცნიერ ებები" მიანიჭა 7 წლით აკრედიტაცია და განუსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი.

აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახუ ლი რეკომენდაციებიკერძოდ 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნ ებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილ

ებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასებისცვლილება. შედეგად საბაკალავრო პროგრამა "კ ომპიუტერული მეცნიერებები" 1,2 დამე-5 -ე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესა ბამისი“, ხოლო დანარჩენ 2 სტანდარტში - „შესაბამისი მოთხოვნებთან“.
დაწესებულებამ სრულად გაიზიარა და შეასრულა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები. მხოლოდ ერთი, ბიბლიოთეკის საკითხი აღმოჩნდა ბუნდოვანი, კერძოდ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში რიგ სახელმძღვანელოებზე მითითებული იყო რომ დაწესებულებას ისინი არ ჰქონდა თუმცა უნივერსიტეტმა წარმოადგინა შესაბამისი ბმულები, რითიც დადასტურდა მოცემული წიგნების არსებობა.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ნებისმიერ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილებუსებში ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:52
დასრულებისდრო: 15:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

15:55- საბჭოს სხდომა დატოვა ლევან მოსახლიშვილმა

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 მარტი №285795
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას გამზ. 77, VIკორპუსი, 01721, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 25 მარტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2022 წლის 11 მარტი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიშითან დართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2022 წლის 10 მარტს აქვს წარმოდგენილი. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ „საბჭოს" რეკომენდაციების შესწავლის მიზნით, პროგრამის განვითარების ჯგუფისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლებისგან, განხორციელებულ იქნა რიგი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით სასწავლო კურსების სი

ლაბუსებში განხორციელდა ლიტერატურის განახლება და მოდიფიცირება. ასევე, დაწესებულე ბამ დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშ ი დააკონკრეტა და განსაზღვრა სტუდენტთა რაოდენობები და შეისყიდა საკანონმდებლობაზა, რომელზეც წვდომა განისაზღვრა როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნივე რსიტეტის ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რო მ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:08
დასრულებისდრო: 16:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პრო გრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილებ ის თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 მარტი №285795
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნებ ის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას გამზ. 77, VIკორპუსი, 01721, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 25
მარტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2022 წლის 11 მარტი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიშითან დართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2022 წლის 10 მარტს აქვს წარმოდგენილი. როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ,საბჭოს
ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი ახალი გარემოებების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით დაამატა ერთი რეკომენდაცია, რომლის მონიტორინგის განხორციელების ვადად განსაზღვრა 6 თვე. დანარჩენი რეკომენდაციებისთვის კი 1 წელი. შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ იმ სამი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 1 წელი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ „საბჭოს“ რეკომენდაციების შესწავლის მიზნით, პროგრამის განვითარების ჯგუფისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლებისგან, განხორციელებულ იქნა რიგი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით სასწავლო კურსების სილაბუსებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში, განხორციელდა ლიტერატურის განახლება და მოდიფიცირება. ასევე, დაწესებულებამ დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, მათთ

ან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დააკონკრეტა და განსაზღვრა სტუდენტთა რაოდენობები, რომლებიც პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ დამსაქმებლებთან და შეისყიდა საკანონმდებლო ბაზა, რომელზეც წვდომა განისაზღვრა როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტის ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:08
დასრულებისდრო: 16:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 24 მაისს, 16:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით